

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, რომელიც შეძლებს: სატრანსპორტო და სამრეწველო ბიზნესის თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ფორმის მენეჯმენტის წარმატებით გაცნობიერებას და განხორციელებას; ბიზნეს-საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას, მათ გააზრებას, მათზე მომქმედი ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და ამის საფუძველზე სწორი დასკვნების გამოტანას; ბიზნეს-პროექტების და სტრატეგიების შემუშავებაში, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეფასებაში, ორგანიზაციების, მათი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულების მენეჯმენტის განხორციელებასა და ბიზნეს-საქმიანობაში ეკონომიკური, საფინანსო, სადაზღვევო, მარკეტინგული, ინოვაციური და სხვა პროცესების მართვაში მონაწილეობის მიღებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირების, ეფექტიანობის გაზომვის, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრის მეთოდების ათვისება;
მარკეტინგული მონაცემების შეგროვების და გაანალიზების, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრის და შესაბამისი ქმედებების განხორციელების თეორიული საფუძვლების ცოდნა;
ბიზნესის ადმინისტრირების ეკონომიკური, მენეჯერული, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების შესწავლა და გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ორგანიზაციებში პროცესების მართვა, პროცესების იდენტიფიცირება. ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და სხვა;
ძირითადი მარკეტინგული საქმიანობა: მარკეტინგული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება და სხვა;
ძირითადი ფინანსური საქმიანობა: ანგარიშების მომზადება და წარდგენა, ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება და სხვა;
პროექტების მართვა: მიზნის ფორმულირება, მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა;

პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების მართვა; საჭირო რესურსების განსაზღვრა და სხვა; ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა. პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენება, აქვს მათი დასაბუთებისა და დაცვის უნარი;

ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირება.

დასკვნის უნარი

ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების ანალიზის საფუძველზე განმარტების მიცემისა და დასკვნის გამოტანა, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

ბიზნესის სფეროში იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად და შემოქმედებითად გამოყენება. უცხოურ ენაზე ეკონომიკის, ბიზნესის და მენეჯმენტის პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.

სწავლის უნარი

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

ღირებულებები

ბიზნესისა და მენეჯმენტის ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად, პროფესიული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვ.) დაცვა, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ

| |
|--|
| <p>ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> |
| <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 22,5 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.</p> <p>შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:</p> <p>ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;</p> <p>ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-7,5 ქულა;</p> <p>დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 10 ქულა.</p> <p>51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): პროფესორი მურმან ბლიაძე/ 2 36 44 03/ m.bliadze@gtu.ge/ სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, I კორპუსი, ოთახი N613.</p> |

| | |
|--|---|
| <p>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა</p> | |
| <p>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ტრანსპორტი</p> | |
| | <p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p> |
| | <p>240</p> |
| | <p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p> |
| | <p>ინჟინერიის ბაკალავრი ტრანსპორტში</p> |
| | <p>სწავლების ენა</p> |
| | <p>ქართული</p> |

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ტრანსპორტის სფეროსთვის საინჟინრო პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც ფლობს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტზე გადაზიდვების პროცესების ორგანიზებისა და მართვის, სატრანსპორტო ობიექტების (სარკინიგზო, საავტომობილო, ლოგისტიკური დანიშნულების) დაპროექტების, ექსპლუატაციის, მომსახურებისა და რემონტის საფუძველების, ლოკომოტივების და მატარებელთა წვეის სხვა საშუალებების, ვაგონების, მსუბუქი და სატვირთო (მათ შორის მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი) ავტომობილების, ავტობუსების მათი მომსახურებისა და რემონტის, რკინიგზის ელექტრომომძრავი შემადგენლობების მოწყობილობების და მატარებელთა წვეის მეურნეობის, რკინიგზისა და მეტროპოლიტენის ავტომატიკის, ტელემექანიკის და კავშირგაბმულობის, ასევე სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციისა და ურთიერთქმედების ძირითად პრინციპებსა და მუშაობის ერთიან ტექნოლოგიურ პროცესებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ ტრანსპორტის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა, მისი მიმდინარე მიღწევებისა და სიახლეების კრიტიკული შეფასება და სატრანსპორტო ტერმინოლოგიის ცოდნა;
- ✓ ნახაზებისა და სქემების შექმნის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- ✓ საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა;
- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა პროექტების გრაფიკული და განმარტებითი დოკუმენტაციის შექმნისას;
- ✓ სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობის პარამეტრების განსაზღვრის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- ✓ მოძრავ შემადგენლობათა პროექტირების, ტრანსპორტის საიმედო ექსპლუატაციის საფუძველებისა და კრიტერიუმების ცოდნა, სხვადასხვა სახის პროდუქციის ტრანსპორტირების უსაფრთხოების წესებისა და ნორმების გაცნობიერება;
- ✓ ტრანსპორტზე გადაზიდვითი პროცესების წარმოების საფუძველების ცოდნა, გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის პროცესის დაგეგმვის უნარი;
- ✓ ლოგისტიკურ სისტემებში ფუნქციონალური მენეჯმენტის პრაქტიკული რეალიზაციისთვის რეკომენდაციების ცოდნა, სატრანსპორტო ლოგისტიკის საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო კონვენციების საფუძველების ცოდნა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ტექნოლოგიის ცოდნა;
- ✓ სატრანსპორტო ლოგისტიკურ სისტემებში, სხვადასხვა სახის სატრანსპორტო, საწარმოო და სასაწყობო პროცესების ერთობლივი დაგეგმვისა და კოორდინაციის მეთოდების ცოდნა;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
- ✓ საავტომობილო კონსტრუქციების, მექანიზმებისა და სისტემების მუშაობის თავისებურებათა ცოდნა;
- ✓ რკინიგზის სადგურებისა და კვანძების კონსტრუქციების ცოდნა, ვაგონთა მოცდენების მიზეზების ცოდნა და გაცნობიერება, რკინიგზის სადგურთა მუშაობის ტექნოლოგიის ცოდნა, ელექტრომომძრავი შემადგენლობის აპარატურის მოქმედების პრინციპების და

მართვის პროცესების გაცნობიერება;

- ✓ ტრანსპორტის სფეროში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა;
- ✓ სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციული თავისებურებების, მექანიზმებისა და სისტემების გაანგარიშებისა და პარამეტრების განსაზღვრის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- ✓ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდების და დიაგნოსტიკის საშუალებებისა და სისტემების ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- ✓ საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების უნარი;
- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება პროექტების გრაფიკული და განმარტებითი დოკუმენტაციის შედგენისას;
- ✓ სატრანსპორტო საშუალებათა ზოგადი კონსტრუქციული აღწერის, მათი ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის, გადაზიდვების მართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური კომპლექსის ცალკეული ამოცანების გადაწყვეტა;
- ✓ სატრანსპორტო სატრანსპორტო საშუალებათა მარშრუტიზაცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტრანსპორტზე არსებული სიგნალების რაციონალური გამოყენება საგზაო მოძრაობის რეგულირებაში;
- ✓ ტრანსპორტზე შეუფერხებელი სატვირთო, ჩქაროსნული და კომფორტული სამგზავრო გადაზიდვების განხორციელების ზედამხედველობა;
- ✓ სატრანსპორტო მოძრავე შემადგენლობათა მიმდინარე და გეგმიური რემონტის წარმოება და ტექნიკური მომსახურების ჩატარება სათანადო ფორმების წარმოებით, კომფორტით უზრუნველყოფის, ელექტრომომარაგების და უსაფრთხოების სისტემების პრაქტიკული რეალიზაცია;
- ✓ ტრანსპორტზე ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის რაციონალური მეთოდების გამოყენება, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მოძრაობის გრაფიკის შედგენა და სადისპეტჩერო სამუშაოების ორგანიზებულად წარმოება, კლიენტთან მომსახურება, ტვირთების მიღება-ჩაბარება, კომერციული სამუშაოების შესრულება სათანადო დოკუმენტაციის უზრუნველყოფით, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა წარმოება და ტრანსპორტთან დაკავშირებული ეკონომიკური საკითხების პრაქტიკული გამოყენება;
- ✓ ტრანსპორტის კონსტრუქციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების გზების შერჩევა, ტრანსპორტის ძირითადი პრინციპების, დებულებების და ნორმატივების პრაქტიკაში რეალიზება. საწვავებისა და შემზეთი მასალების თვისებების ტრანსპორტის ეკოლოგიურობაზე გავლენისა შეფასებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების არსებული მეთოდების პრაქტიკული რეალიზაციის უნარი;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში კონკრეტული საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, განრიგების შედგენისა და განსაზღვრულ ვადებში სამუშაოს შესრულების უნარი ხელმძღვანელის მითითებების მიხედვით;
- ✓ საერთაშორისო გადაზიდვებზე არსებული წესებისა და ნორმების პრაქტიკული გამოყენება და დაცვა;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში სამუშაოს შესრულებისას მისდამი დაქვემდებარებული პერსონალისთვის სწორი მიმართულებებისა და საქმიანი რჩევების მიცემის უნარი;

- ✓ ტრანსპორტზე ეკოლოგიური უსაფრთხოების კრიტერიუმების დაცვა სხვადასხვა პროდუქციის ტრანსპორტირების პროცესში;

დასკვნის უნარი

- ✓ ტრანსპორტის პრობლემების გამოვლენა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში ალტერნატივების შეფასება და სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- ✓ ტრანსპორტის დაგეგმვა მიზნებისა და ამოცანების მიხედვით;
- ✓ ტრანსპორტზე გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის პროცესის უზრუნველყოფისათვის ადექვატური დასკვნების და რეკომენდაციების გაცემა, მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში ზოგადი დებულებებით სარგებლობა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარი;
- ✓ გარემოსთვის ტრანსპორტისაგან მოსალოდნელი ეკოლოგიური ზიანის თავიდან აცილებისათვის შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარი;
- ✓ დასკვნის გაკეთება სატრანსპორტო მანქანა-მოწყობილობის მუშაობის გამართულობაზე.

კომუნიკაციის უნარი:

- ✓ სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- ✓ სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხოურ ენაზე;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი.

სწავლის უნარი

- ✓ ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

ღირებულებები:

- ✓ ეთიკის, მორალისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- ✓ ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
- ✓ ტრანსპორტის სფეროში მგზავრთა გადაყვანებისა და ტვირთების გადაზიდვების უსაფრთხოების, ტრანსპორტის მუშაობის გამო გარემოზე მავნე ზემოქმედების

მინიმიზაციისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების აუცილებლობის გაცნობიერება და მათი შემუშავების, დახვეწისა და განხორციელების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 22,5 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:

ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;

ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-7,5 ქულა;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 10 ქულა.

51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): პროფესორი გიორგი აბრამიშვილი / 599 51 70 01 / g.abramishvili@gtu.ge / სტუ, თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N77, ოთახი N342.

| | |
|--|--|
| ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საგზაო ინჟინერია | |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) |
| | 240 |
| | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
| | ინჟინერიის ბაკალავრი ტრანსპორტში |
| | სწავლების ენა |
| | ქართული |
| | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი |
| | პროგრამის მიზანია მოამზადოს საგზაო ინჟინერიის დარგის საინჟინრო პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც ფლობს საგზაო ინჟინერიის ობიექტების (რკინიგზის, ხიდებისა და გვირაბების, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების, საგზაო ინფრასტრუქტურის) დაპროექტების, ექსპლუატაციის, მომსახურებისა და რემონტის საფუძვლების, ლიანდაგის მონიტორინგისა და ლიანდაგის მდგომარეობის დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებს და ახალ ტექნოლოგიებს. |
| | საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი |
| | ცოდნა და გაცნობიერება: |
| | <ul style="list-style-type: none"> • საგზაო ინჟინერიის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა, მისი მიმდინარე მიღწევებისა და სიახლეების კრიტიკული შეფასება და საგზაო ინჟინერიის ტერმინოლოგიის ცოდნა; • ნახაზებისა და სქემების შექმნის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება; • საპროექტო–საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა; • კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა პროექტების გრაფიკული და განმარტებითი დოკუმენტაციის შექმნისას; • საგზაო ინჟინერიის დარგის საერთო სტრუქტურას (ტრანსპორტის სახეობებსა და რკინიგზის, ხიდებისა და გვირაბების, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების, საგზაო ინფრასტრუქტურის) შორის ურთიერთკავშირის გაცნობიერება; • საგზაო ინჟინერიის დარგის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაპროექტების, მათი საიმედო ექსპლუატაციის საფუძვლებისა და კრიტერიუმების ცოდნა, უსაფრთხოების წესებისა და ნორმების გაცნობიერება; • საგზაო ინჟინერიის სფეროში ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების ცოდნა; • საგზაო ინჟინერიის სფეროში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა; • საგზაო ინჟინერიის დარგის ინფრასტრუქტურის ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის მეთოდების და დიაგნოსტიკის საშუალებებისა და სისტემების ცოდნა; • საგზაო ინჟინერიის დარგის ობიექტების კონსტრუქციების მოწყობისა და შენახვის ტექნიკური პირობების და ნორმების, სხვადასხვა დატვირთვის პირობებში მუშაობის თეორიული საფუძვლების ცოდნა და გაცნობიერება; • ლიანდაგის მოწყობისა და შენახვის ტექნიკური პირობების და ნორმების, სხვადასხვა დატვირთვის პირობებში მუშაობის თეორიული საფუძვლების ცოდნა და გაცნობიერება; |

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

- საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების უნარი;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება პროექტების გრაფიკული და განმარტებითი დოკუმენტაციის შედგენისას;
- საგზაო ინჟინერიის დარგის ინფრასტრუქტურის ობიექტების ზოგადი კონსტრუქციული აღწერის, მათი ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის და მართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური კომპლექსის ცალკეული ამოცანების გადაწყვეტის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე საპროექტო, სამშენებლო და საექსპლუატაციო სამუშაოების სისტემების რეჟიმების განსაზღვრისა და მეთოდების პრაქტიკული განხორციელების უნარი ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების შედგენა და განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების ფარგლებში თანამედროვე მეთოდების, ტექნიკური საშუალებების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით;
- საგზაო ინჟინერიის დარგის ინფრასტრუქტურის ობიექტების კონსტრუქციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების გზების შერჩევა, მისი ძირითადი პრინციპების, დებულებების და ნორმატივების პრაქტიკაში რეალიზება ხელმძღვანელის მითითებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ეკოლოგიურობაზე გავლენისა შეფასებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების არსებული მეთოდების პრაქტიკული რეალიზაციის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგის ინფრასტრუქტურის ობიექტების ექსპლუატაცია და ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და გამართულობის დადგენა ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში სამუშაოს შესრულებისას მისდამი დაქვემდებარებული პერსონალისთვის სწორი მიმართულებებისა და საქმიანი რჩევების მიცემის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე ეკოლოგიური უსაფრთხოების კრიტერიუმების დაცვის უნარი;

დასკვნის უნარი

- საგზაო ინჟინერიის დარგის პრობლემების გამოვლენისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგში ალტერნატივების შეფასებისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დაგეგმვის უნარი მიზნებისა და ამოცანების მიხედვით;
- გარემოსთვის ტრანსპორტისაგან მოსალოდნელი ეკოლოგიური ზიანის თავიდან აცილებისათვის შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარი;
- დასკვნის გაკეთების უნარი ლიანდაგის, ხიდების, გვირაბების, საავტომობილო გზების, აეროდრომებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის დამხმარე ნაგებობების მუშაობის გამართულობის შესახებ.

კომუნიკაციის უნარი:

- სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი.
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი

- ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასებისა და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

ღირებულებები:

- პროფესიული ეთიკის, მორალისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვის უნარი;
- ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- საგზაო ინჟინერიაში უსაფრთხოების ნორმების განუხრელი დაცვისა და მისი გაუმჯობესების პროცესში აქტიური ჩართვის უნარი. ტრანსპორტის ფუნქციონირების კომფორტულობის პირობების, რესურსების დაზოგვისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მინიმალური ზემოქმედების აუცილებლობის გაცნობიერებისა და პროფესიულ ღირებულებად ქცევის უნარი.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

| |
|---|
| <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 22,5 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.</p> <p>შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:</p> <p>ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;</p> <p>ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-7,5 ქულა; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 10 ქულა.</p> <p>51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): პროფესორი მანანა მოისწრაფიშვილი/ 599 94 94 14/ m.moistsrapishvili@gtu.ge/ სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, საგზაო დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, I კორპუსი, ოთახი N569.</p> |

| ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|---|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია | |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) |
| | 240 |
| | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
| | მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი |
| | სწავლების ენა |
| | ქართული |
| | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი |
| | სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების (მათ შორის კომპიუტერული მართვის სისტემებით აღჭურვილი) მანქანების და მანქანათა სისტემების მექანიკის ძირეული |

ფუნქციონალური ელემენტების - მექანიზმებისა და ამძრავთა (მათ შორის ავტომატიზებული, ელექტრომექანიკური, ელექტროჰიდრო და ელექტროპნევმომექანიკური რეგულირებისა და მართვის) სისტემების, მექატრონული მოდულებისა და სისტემების და მთლიანობაში თანამედროვე მანქანების (როგორცსაწარმო-ტექნოლოგიური, სამრეწველო-ინდუსტრიული, ასევე ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო-საგზაო და სხვა მანქანები და მექანიზმები) და მანქანათა სისტემების აგების პრინციპების და მეთოდოლოგიური მიდგომების, დაპროექტების, გამოცდის, საწარმოო დანერგვის, დამზადების ტექნოლოგიური პროცესების (ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო წარმოების საშუალებების კონსტრუქციების, იარაღებისა და სამარჯვების გამოყენებით) შემუშავების და პრაქტიკული რეალიზაციის, ტექნიკური და საწარმოო ექსპლუატაციის, რემონტისა და მოდერნიზაციის, შესაბამის საწარმოთა დაპროექტების და ტექნიკური ორგანიზაციის საინჟინრო საკითხების რეალიზაციაზე და საინჟინრო საქმიანობაში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მიმდინარე მიღწევებისა და სიახლეების კრიტიკული შეფასება;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ძირითადი სფეროების ურთიერთკავშირის გაცნობიერება;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის ცოდნა.
- ✓ სამანქანათმშენებლო და საამწყობო ნახაზებისა და ესკიზების შექმნის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- ✓ საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა;
- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა სამანქანათმშენებლო ნახაზებისა და დოკუმენტაციის შექმნისას;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროს მოწყობილობების დაპროექტების მეთოდებისა და მიდგომების და დაპროექტების ავტომატიზებული სისტემების საერთო მოთხოვნების ცოდნა და გაცნობიერება;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროს ტექნოლოგიური პროცესებისა და საწარმოთა დაგეგმარების საფუძვლების და განვითარების პერსპექტივების ცოდნა-გაცნობიერება;
- ✓ მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხის შეფასებისა და კონტროლის მეთოდების საფუძვლების ცოდნა;
- ✓ ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობის მეთოდების, საშუალებების საფუძვლების და სიცოცხლის უსაფრთხოების ნორმატიულ-ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მოწყობილობების და სისტემების დაპროექტების პრინციპების, დამზადების, მომსახურების და ექსპლუატაციის ნორმების ცოდნა, შესაბამისი ყველა საერთაშორისო სტანდარტების, დიაგნოსტიკის და სფეროს თანამედროვე მიღწევების გაცნობიერება;
- ✓ თანამედროვე მანქანების და მანქანათა კომპლექსების მექანიკის ძირეული

ფუნქციონალური ელემენტების აგების და პრაქტიკული გამოყენების პრინციპების, პროექტირების და გაანგარიშებების მეთოდოლოგიური მიდგომის, მეთოდების და მეთოდიკების საფუძვლების ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის თეორიული დებულებებისა და პრინციპების გამოყენების უნარი პრაქტიკაში;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიებში ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და სამანქანათმშენებლო ნახაზების გაფორმების უნარი;
- ✓ დასახული მიზნების მისაღწევად, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენის უნარი;
- ✓ სამუშაოს შესრულებისას დაქვემდებარებული თანამშრომლებისთვის სწორი მიმართულებებისა და საქმიანი რჩევების მიცემის უნარი.
- ✓ საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების უნარი;
- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება სამანქანათმშენებლო ნახაზებისა და დოკუმენტაციის შექმნისას;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროს მოწყობილობების დაპროექტებასა და დაპროექტების ავტომატიზებული სისტემების შემუშავებაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- ✓ მანქანებისა და მოწყობილობების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობის უნარი;
- ✓ ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვასა და უზრუნველყოფაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მოწყობილობების და სისტემების დაპროექტებაში, დამზადების, მომსახურების და ექსპლუატაციის პროცესში მონაწილეობის მიღების უნარი;
- ✓ წინასწარ განხორციელებული მითითებების მიხედვით მოქნილი საწარმოების სტრუქტურების დაპროექტების, სამრეწველო ფირმების ორგანიზებისა და ნორმალური ფუნქციონირებაში მონაწილეობის უნარი.

დასკვნის უნარი:

- სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის დამუშავების უნარი;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად ახალი და განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზისა და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში ტიპურ სიტუაციებში საექსპლუატაციო მომსახურებასა და ობიექტის შეკეთების ტექნოლოგიურ პროცესზე, მანქანა-მოწყობილობების ტექნიკურ მდგომარეობისა და მუშაობის შესაბამისი დასკვნების გამოტანის უნარი;

კომუნიკაციის უნარი:

- სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების განმარტებების გაკეთების უნარი;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში პრეზენტაციების მომზადების უნარი.

სწავლის უნარი:

- ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

ღირებულებები:

- ეთიკის, მორალის და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
- მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის წარმოებებში მუშაობის წარმართვა სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით და მუდმივი სწრაფვა მათი დამკვიდრების მიზნით.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 22,5 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:

ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;

ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-7,5 ქულა; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 10 ქულა.

51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): პროფესორი მერაბ შვანგირაძე/ 593 73 92 55/ m.shvangiradze@gtu.ge/ სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მექანიკის ინჟინერიისა და საწარმოო ტექნოლოგიების დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, I კორპუსი, ოთახი N645.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია

| |
|---|
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) |
| 240 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
| სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი |
| სწავლების ენა |
| ქართული |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი |
| პროგრამის მიზანია კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიაში. ბაკალავრი მზად იქნება დარგში საწარმოო, ტექნოლოგიური და საორგანიზაციო სამუშაოებისათვის, რაც ითვალისწინებს: სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მოწყობილობების საექსპლუატაციო ნორმატიული პარამეტრების დაცვას, ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესების დანერგვაში, წარმოებისა და ორგანიზაციის |

მართვაში მონაწილეობის მიღებას, წინასწარ შედგენილი პროექტების მიხედვით სარემონტო და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარებას, კომპლექსური მექანიზაციის ტექნოლოგიური სქემების დამუშავებასა და ისეთი მანქანების, დანადგარების და მოწყობილობების შერჩევას, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომატიზაციის მაღალ დონეს; სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების ნაწარმის მასალების შერჩევასა და გამოყენებას, ნაწარმის მოდელირებას, კონსტრუირებასა და ტექნოლოგიურ დამუშავებას; წარმოებაში მანქანების გამოყენების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევასა და ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროს ფართო თეორიული ცოდნა;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრინციპების ცოდნა;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრობლემების ანალიტიკური კვლევისა და ეფექტიანი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღების, ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მიმდინარე მიღწევებისა და სიახლეების კრიტიკული შეფასების უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მოწყობილობათა მუშაობის პრინციპების ცოდნა;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მანქანების საექსპლუატაციო ნორმატიული პარამეტრების ცოდნა;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების ავტომატიზაციის პრინციპების ცოდნა;
- სამრეწველო ინჟინერიის ნაწარმის მოდელირების, კონსტრუირების და ტექნოლოგიური დამუშავების მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრობლემების გადაწყვეტისთვის საჭირო რაოდენობრივ-სტატისტიკური მეთოდების ცოდნა;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ძირითადი სფეროების (სტატისტიკა, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეკონომიკური ანალიზი, საბანკო ოპერაციები, გადასახადები და სხვა) საფუძვლების ცოდნა და მათი ურთიერთკავშირის გაცნობიერება;
- ნახაზებისა და სქემების შექმნის მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების ცოდნა პროექტების გრაფიკული და განმარტებითი დოკუმენტაციის შექმნისას;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ტერმინოლოგიის ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრობლემების კვლევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უნარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მეთოდების გამოყენებით;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრობლემების გადაწყვეტისას რაოდენობრივ-

სტატისტიკური მეთოდების გამოყენების უნარი;

- სამრეწველო ინჟინერიასა და ტექნოლოგიებში ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მანქანების საექსპლოატაციო ნორმატიული პარამეტრების დაცვის უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიის ნაწარმის მოდელირების, კონსტრუირების და ტექნოლოგიური დამუშავების უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიასა და ტექნოლოგიებში მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, განრიგების შედგენისა და განსაზღვრულ ვადებში სამუშაოს შესრულების უნარი;
- საპროექტო-საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების უნარი;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენების უნარი პროექტების გრაფიკული და განმარტებითი დოკუმენტაციის შედგენისას;
- სამრეწველო საწარმოთა ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენების უნარი;
- სამუშაოს შესრულებისას მისდამი დაქვემდებარებული თანამშრომლებისთვის სწორი მიმართულებებისა და საქმიანი რჩევების მიცემის უნარი.

დასკვნის უნარი:-

- სამრეწველო ინჟინერიასა და ტექნოლოგიებში თანამედროვე ტენდენციების შეფასების, მიღებული შედეგების შეჯერების, განზოგადებული დასკვნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად განყენებული მონაცემების დამუშავებისა და/ან სიტუაციების ანალიზისა და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის თეორიული დებულებებისა და პრინციპების შესახებ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში პრეზენტაციების მომზადების უნარი.

სწავლის უნარი:

- ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასების და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენის უნარი;
- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების

გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

ღირებულებები :

- ეთიკის, მორალისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვის უნარი;
- ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- ✓ თანამედროვე მანქანების და მანქანათა კომპლექსების მექანიკის ძირეული ფუნქციონალური ელემენტების აგების და პრაქტიკული გამოყენების პრინციპების, პროექტირების და გაანგარიშებების მეთოდოლოგიური მიდგომის, მეთოდების და მეთოდიკების საფუძვლების ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ✓ მრავალმხრივი და სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა თეორიული დებულებებისა და პრინციპების კრიტიკული და არგუმენტირებული გააზრება;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, სამანქანათმშენებლო ნახაზების გაფორმების უნარი;
- ✓ დასახული მიზნების მისაღწევად, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენის უნარი;
- ✓ სამუშაოს შესრულებისას დაქვემდებარებული თანამშრომლებისთვის სწორი მიმართულებებისა და საქმიანი რჩევების მიცემის უნარი.
- ✓ საპროექტო–საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის შესრულებისა და გაფორმების უნარი;
- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენება სამანქანათმშენებლო ნახაზებისა და დოკუმენტაციის შექმნისას;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა სფეროს მოწყობილობების დაპროექტებასა და დაპროექტების ავტომატიზებული სისტემების შემუშავებაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- ✓ მანქანებისა და მოწყობილობების დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობის

მიღება;

- ✓ ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების უსაფრთხო მუშაობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვასა და უზრუნველყოფაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- ✓ მექანიკის ინჟინერიისა მოწყობილობების და სისტემების დაპროექტებაში, დამზადების, მომსახურების და ექსპლუატაციის პროცესში მონაწილეობის მიღების უნარი;
- ✓ წინასწარ განხორციელებული მითითებების მიხედვით მოქნილი საწარმოების სტრუქტურების დაპროექტების, სამრეწველო ფირმების ორგანიზებისა და ნორმალური ფუნქციონირებაში მონაწილეობის უნარი.

დასკვნის უნარი:

- მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, სიტუაციათა შედარება, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის დამუშავება;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის პრობლემების გადასაწყვეტად ახალი და განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- დასკვნის შედგენა და განმარტება მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში ტიპურ სიტუაციებში საექსპლუატაციო მომსახურებასა და ობიექტის შეკეთების ტექნოლოგიურ პროცესზე, მანქანა-მოწყობილობების ტექნიკურ მდგომარეობასა და მუშაობის უნარზე;

კომუნიკაციის უნარი:

- საკუთარი აზრის ან მიწოდებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე.
- სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ჩამოყალიბების და კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხოურ ენაზე;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში პროფესიულ საკითხებზე ლაკონურად და გასაგებად წერის უნარი;
- მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სფეროში პრეზენტაციებისა ან წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი.

სწავლის უნარი:

- სწავლის მიმართულების განსაზღვრა შექმნილი გარემოსა და პრიორიტეტების

გათვალისწინებით.

- ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, ცოდნის განახლების საჭიროების თვითშეფასება და განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების საჭიროების დადგენა;
- მექანიკის ინჟინერიის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით თანამედროვე მასალების მოძიების, ათვისების და უწყვეტი განათლების მიღების უნარი.

ღირებულებები:

- მექანიკის ინჟინერიის სფეროს პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა, შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;
- ეთიკისა და ღირებულებების მიღებული ნორმების დაცვა;
- მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- ღირებულებების, ზნეობრივი ნორმების და ფასეულობების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
- მექანიკის ინჟინერიის და ტექნოლოგიის სფეროში წარმოებებში მუშაობის წარმართვა სიცოცხლისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით და მუდმივი სწრაფვა მათი გაუმჯობესების მიზნით.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 22,5 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:

| | |
|---|---|
| | <p>ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;</p> <p>ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-7,5 ქულა; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 10 ქულა.</p> <p>51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): ასოცირებული პროფესორი ვაჟა ქირია/ 595 74 24 39/ v.qiria@gtu.ge/ სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, საწარმოო ტექნოლოგიური მანქანების და მექატრონიკის დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, I კორპუსი, ოთახი N657.</p> | |

| | |
|--|---|
| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ტრანსპორტი | |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) |
| | 120 |
| | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
| | <p>ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისი სპეციალიზაციით:</p> <p>ა) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში საავტომობილო ტრანსპორტის სპეციალიზაციით;</p> <p>ბ) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში სარკინიგზო ტრანსპორტის სპეციალიზაციით;</p> <p>გ) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში სპეციალური ტრანსპორტის სპეციალიზაციით;</p> <p>დ) ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში სატრანსპორტო ლოჯისტიკის სპეციალიზაციით;</p> |
| | სწავლების ენა |
| | ქართული |
| | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი |
| | <p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ტრანსპორტის დარგში დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი სირთულის და მოცულობის გადაზიდვითი პროცესების მართვას, სატრანსპორტო ობიექტების დაპროექტებას,</p> |

კონსტრუქციულ მოდერნიზირებას, რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას, ტრანსპორტის ეფექტიან ფუნქციონირებას უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის პირობების დაცვით, მათ შორის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; დაამუშავებს და დანერგავს ინოვაციურ პროგრესულ ტექნოლოგიებს ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით; ჩაატარებს კვლევებს და შეასრულებს ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებებს იმ ღონისძიებათა დამუშავებისას, რომლებიც მიმართულია ტრანსპორტის ეფექტური მუშაობის ამაღლებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- ტრანსპორტის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, პრობლემური საკითხების ჩამოყალიბების სტრატეგიის ფორმულირებისათვის საჭირო ცოდნა, რომელიც იძლევა ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას თანამედროვე მეთოდების გაცნობიერებით;
- ტრანსპორტის სფეროში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება;
- ტრანსპორტის ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შერჩევის, მათი კლასიფიციკაციის, შედარების და შეჯამების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება.
- კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების კრიტიკული ანალიზის, მუშაობის პარამეტრების სინთეზის და შედეგების ურთიერთშედარების თეორიული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება,
- ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების ცოდნა და გაცნობიერება;
- ტრანსპორტის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის, გადაზიდვების ორგანიზაციულ-სტრუქტურული და დროითი განაწილების სქემის შედგენისა და კორექტირების თანამედროვე მეთოდების სისტემური ცოდნა და გაცნობიერება;
- გადაზიდვების წლიური გეგმის დიფერენცირება თვეებისა და დღეების მიხედვით, სატრანსპორტო გადაზიდვების გეგმაზომიერი და სეზონური ცვლილებებისა და მისი ოპერატიული მართვის და ორგანიზების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციული სრულყოფის თანამედროვე მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა და გაცნობიერება;
- ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფის და საიმედოობის მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა;
- ტრანსპორტის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების კვლევის, ანალიზისა და მათი ამაღლების კომპლექსურ ღონისძიებათა ცოდნა და გაცნობიერება;
- ტერმინალების და საკვანძო სატვირთო პუნქტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასებისა და ანალიზის ცოდნა და გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ტრანსპორტის სფეროში ახალ, გაუთვალისწინებელ, ექსტრემალურ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
- ტრანსპორტის სფეროში კრიტიკული აზროვნების, ახალი ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- ტრანსპორტის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედებისას ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის დამუშავების და გადაზიდვითი პროცესების ინტენსიფიკაციის მართვის უნარი;
- კონკრეტული სატრანსპორტო ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის უნარი;
- სატრანსპორტო საშუალებათა საექსპლუატაციო-ტექნიკური მაჩვენებლების ოპტიმიზაცია, მათი თანამედროვე მეთოდებით გამოთვლის და დადასტურების უნარი;
- ტრანსპორტის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის უნარი, სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და ტრანსპორტის სფეროში სისტემური ცოდნისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამოვლენის უნარი;
- სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური ზემოქმედების ოპტიმალური სისტემის, მეთოდებისა და ფორმების კონკრეტულ პირობებში დამუშავების უნარი;
- სატრანსპორტო გადაზიდვების მართვის პროცესში მოძრაობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნორმატიული მაჩვენებლების კორექტირების და დაცვის უნარი;
- ფორსმაჟორული სიტუაციების წარმოქმნისას დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების შესრულებისას სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის სწორად შეფასების, გადაუდებელი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.
- ტრანსპორტის მდგრადი განვითარებისათვის ტექნიკური ანალიზის ჩატარების, უსაფრთხო ფუნქციონირების კონცეფციების და მოძრავ შემადგენლობათა რესურსის მართვის უნარი;

დასკვნის უნარი:

- ტრანსპორტის დარგში სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;
- გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, ინიციატივისა და დასაბუთებული დასკვნების გამოვლენის უნარი;
- ტრანსპორტის დარგის ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენების დასაბუთების უნარი;
- სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის მაჩვენებლებისა და მათი გადახრების საფუძველზე ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის უნარი;
- ტრანსპორტის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შესახებ დასკვნის უნარი;
- ტრანსპორტის ეფექტიანობის შემფასებელი კრიტერიუმების, ტექნიკურად მზადყოფნის

- და გამოყენების კოეფიციენტების ანალიზისა და დასკვნის უნარი;
- ტრანსპორტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებებით მიღებული ეფექტიანობის განსაზღვრისა და ანალიზის უნარი;

კომუნიკაციის უნარი:

- თავისი დასკვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევის მეთოდების და მიღებული შედეგების სრულყოფილად და გასაგებად წარმოჩინების უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- ტრანსპორტის სფეროში კვლევის წარმოების და მათი შედეგების გასაჯაროებისას აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა;
- ტრანსპორტის სფეროში აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კვლევის შედეგების, მეთოდების და დარგის პრობლემატიკის წარმოჩინება თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.

სწავლის უნარი:

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.
- ტრანსპორტის სფეროში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;

ღირებულებები:

- ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა და პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
- ტრანსპორტის სფეროში მოძრაობის, ეკოლოგიური და სიცოცხლის უსაფრთხოების ამაღლებისკენ მუდმივი სწრაფვა, კვლევების წარმოება მათი გაუმჯობესებისთვის და დამკვიდრებისთვის ზრუნვა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული

| |
|---|
| <p>გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.</p> <p>შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:</p> <p>ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;</p> <p>ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-15 ქულა; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 20 ქულა.</p> <p>51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): პროფესორი ავთანდილ შარვაშიძე/ 551 58 19 58/ a.sharvashidze@gtu.ge/ სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, I კორპუსი, ოთახი N443.</p> |

| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|--|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა | |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) | 120 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას და ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კვალიფიციური, თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარით აღჭურვილი, შემოქმედებითი, მეცნიერული კვლევის უნარის მქონე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი არჩეული სამაგისტრო თემატიკის მიხედვით (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ზოგადად სამეწარმეო ბიზნესის |

თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით), რომელიც შეძლებს ფირმების მენეჯმენტის წარმატებით გაცნობიერებას და განხორციელებას; ბიზნეს-საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას, მათ გააზრებას, მათზე მომქმედი ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და ამის საფუძველზე სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, ბიზნეს-პროექტების და სტრატეგიების შემუშავებას.

პროგრამის მიზანი პასუხობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე გამოწვევებს, კერძოდ:

ა) საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს ტრანსპორტის განვითარებისათვის. აქ შექმნილი დამატებითი ღირებულება უკვე იკავებს 11 %-იან ნიშნულს ქვეყნის მშპ-ში და მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო გაზრდა. ტრანსპორტის თითქმის ყველა სახე: სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო და მილსადენი, დინამიურად ვითარდება და ისინი მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, უმეტესწილად, მენეჯმენტის მიმართულებით.

ბ) მანქანათმშენებლობა დღეისათვის ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაშია, თუმცა მაინც ფუნქციონირებს რამდენიმე საწარმო, მაგალითად, „დელტა“, „ელმავალმშენებელი“ და სხვ.. ინდუსტრიალიზაციის გზაზე მანქანათმშენებლობის სექტორის განვითარება პრიორიტეტულია.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- აქვს მენეჯმენტის (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი) დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- აქვს აგრეთვე დარგის კვლევის სპეციფიკური მეთოდების სიღრმისეული ცოდნა;
- მენეჯმენტში, მარკეტინგში, ფინანსებში არსებული კონკრეტული პრობლემების გაცნობიერება;
- აცნობიერებს დარგში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- აქვს მენეჯმენტის სხვადასხვა ქვედარგში (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი), არსებული თეორიული პოსტულატების გაცნობიერების უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- მენეჯმენტის დარგში (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი) მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა;

დასკვნის უნარი:

- რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- მენეჯმენტის დარგის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

- მენეჯმენტის სფეროში რთული და არასრული ინფორმაციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- მენეჯმენტის სფეროში ცალკეული პროცესების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე ზოგადი დებულებებისა და დასკვნების ჩამოყალიბება;

კომუნიკაციის უნარი:

- თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- იდეების, საპროექტო წინადადებების, პროექტის მიმდინარეობის თუ საბოლოო ანგარიშის დეტალური ლოგიკურად გამართული კონსტრუქციების წერილობით მომზადება, პროექტების პრეზენტაციის მომზადება.

სწავლის უნარი:

- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;
- მენეჯმენტის (ტრანსპორტის მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობის მენეჯმენტი) დარგში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა აკადემიურ ან საკვალიფიკაციო სწავლების გარემოში;
- მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში დაცული და ინტერნეტით გავრცელებული უახლესი მიღწევების გაცნობა-შესწავლა;
- საკუთარ პროფესიულ სფეროში შეუძლია აწარმოოს დაქვემდებარებული პერსონალის კონსულტაცია.

ღირებულებები:

- საზოგადოებრივი პრინციპებისა და ფასეულობების ცოდნა;
- ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ფასეულობებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- ფასეულობებისადმი ყურადღების გამახვილება და ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე

| | |
|--|--|
| | <p>ერთხელ გასვლის უფლება;</p> <ul style="list-style-type: none"> • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.</p> <p>შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:</p> <p>ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;</p> <p>ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-15 ქულა;</p> <p>დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 20 ქულა.</p> <p>51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p> |
| <p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): პროფესორი ჯამლეტ ჯანჯღავა / 2 36 44 03// ljaniyava@gtu.ge / სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, I კორპუსი, ოთახი N613.</p> | |

| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|--|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საგზაო ინჟინერია | |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) |
| | 120 |
| | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
| | ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში |
| | სწავლების ენა |
| | ქართული |

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს საგზაო ინჟინერიის დარგში დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს: ნებისმიერი სირთულის და მოცულობის საგზაო ინჟინერიის ობიექტების საინჟინრო და ეკონომიკურ კვლევა-ძიებას, დაპროექტებას, მშენებლობას, ექსპლუატაციას, ზედამხედველობის განხორციელებას, კონსტრუქციულ მოდერნიზირებას, რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას, საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების ეფექტიან ფუნქციონირებას უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის პირობების დაცვით, მათ შორის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; დაამუშავებს და დანერგავს ინოვაციურ პროგრესულ ტექნოლოგიებს ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით; საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მტყუნების შეფასებას, ანალიზსა და ექსპერტიზას; შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს; ტექნიკური სწავლების ჩატარებას, კვლევების წარმოებას და ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების შესრულებას იმ ღონისძიებათა დამუშავებისას, რომლებიც მიმართულია საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების ეფექტური მუშაობის ამაღლებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- საგზაო ინჟინერიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, პრობლემური საკითხების ჩამოყალიბების სტრატეგიის ფორმულირებისათვის საჭირო ცოდნა, რომელიც იძლევა ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას თანამედროვე მეთოდების გაცნობიერებით;
- საგზაო ინჟინერიის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შერჩევის, მათი კლასიფიკაციის, შედარების და შეჯამების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება.
- კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში სხვადასხვა სახის შეკეთებების გამოყენების კრიტიკული ანალიზის, მუშაობის პარამეტრების სინთეზის და შედეგების ურთიერთშედარების თეორიული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის სფეროს მუშაობის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიების დამუშავებისა და კორექტირების თანამედროვე მეთოდების სისტემური ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის დარგში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების კვლევის, ანალიზისა და მათი ამაღლების კომპლექსურ ღონისძიებათა ცოდნა და გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- საგზაო ინჟინერიის სფეროში ახალ, გაუთვალისწინებელ, ექსტრემალურ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში კრიტიკული აზროვნების, ახალი ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;

- საგზაო ინჟინერიის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა, მათ შორის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის კონკრეტული ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის უნარი, სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და საგზაო ინჟინერიის სფეროში სისტემური ცოდნის გამოვლენის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის მდგრადი განვითარებისათვის ტექნიკური ანალიზის ჩატარების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოში ტექნიკურად უსაფრთხო ფუნქციონირების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში ექსპერიმენტების, სავლე და ლაბორატორიული სამუშაოების დამოუკიდებლად განხორციელებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის/ინტერპრეტაციის უნარი.

დასკვნის უნარი:

- საგზაო ინჟინერიის დარგში სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;
- გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, ინიციატივისა და დასაბუთებული დასკვნების გამოვლენის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგის ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენების დასაბუთების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის კრიტიკული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის ეფექტიანობის შემფასებელი კრიტერიუმების, ტექნიკურად მზადყოფნის და გამოყენების კოეფიციენტების ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებებით მიღებული ეფექტიანობის განსაზღვრის, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

- თავისი დასკვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევის მეთოდების და მიღებული შედეგების სრულყოფილად და გასაგებად წარმოჩინების უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში კვლევის წარმოების და მათი შედეგების გასაჯაროებისას აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კვლევის შედეგების, მეთოდების და დარგის პრობლემატიკის წარმოჩინების უნარი თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.

სწავლის უნარი:

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და მისი სტრატეგიულად მაღალი დონეზე დაგეგმვის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულელების განსაზღვრა.

ღირებულებები:

- ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა და პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის, ეკოლოგიური და სიცოცხლის უსაფრთხოების ამაღლებისკენ მუდმივი სწრაფვა, კვლევების წარმოება მათი გაუმჯობესებისთვის და კვლევით მიღებული უტყუარი შედეგების დამკვიდრებისთვის ზრუნვა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებისდაცვითი მნიშვნელობის გაცნობიერების საფუძველზე დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში სათანადო ღონისძიებების გათვალისწინებისა და მისი პრაქტიკაში აქტიური დანერგვისადმი სწრაფვის უნარი.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:

ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;

ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-15 ქულა;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 20 ქულა.

51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის

| | |
|--|--|
| | დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. |
| საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი): | პროფესორი ნუგზარ რურუა/ 599 11 52 35/ n.rurua@gtu.ge სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, საგზაო დეპარტამენტი. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N68, I კორპუსი, ოთახი N680. |

| მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა | |
|--|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ლოგისტიკა | |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS) |
| | 120 |
| | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
| | სატრანსპორტო ლოგისტიკის მაგისტრი |
| | სწავლების ენა |
| | ქართული |
| | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი |
| | <p>პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ლოგისტიკის მნიშვნელობისა და ლოგისტიკის ძირითადი პრინციპების შესწავლა; - სტუდენტებისთვის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ლოგისტიკური პროცესების ანალიზის, ლოგისტიკური პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარის განვითარება; - ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციის უნარის განვითარება, რომელიც მოიცავს ლოგისტიკური ჯაჭვის სხვადასხვა კომპონენტების დეტალურ ანალიზს სხვადასხვა ინდუსტრიაში. ასევე მოიცავს ლოგისტიკური დანახარჯების ანალიზს და ოპტიმიზაციის ღონისძიებების დაგეგმვასა და იმპლემენტაციას; - ლოგისტიკის, როგორც კომპანიების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის განვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შემდგომში ჩამოაყალიბონ კომპანიების გრძელვადიანი ლოგისტიკური სტრატეგია, დაგეგმონ და მართონ სადისტრიბუციო ქსელები, სასაწყობო მარაგები, მულტიმოდალური გადაზიდვები, მიიღონ ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურის დაგეგმვასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები; - ლოგისტიკაში არსებული თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზირებული სისტემების ძირითადი საფუძვლებისა და მათი ეფექტური გამოყენების შესწავლა. პროცესების ოპტიმიზაციის შესაძლებლობების გაცნობა აღნიშნული სისტემების მეშვეობით. საწარმოს რესურსების დაგეგმვების სისტემისა და მისი ლოგისტიკური მოდულების შესწავლა; |

სტუდენტების მომზადება კარიერული შესაძლებლობებისათვის, რომელიც დაკავშირებულია მაღალ მენეჯერულ პოზიციებთან ტრანსპორტის, ლოგისტიკის, წარმოებისა თუ მომსახურების სფეროებში.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- **ცოდნა და გაცნობიერება:** – აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- ტრანსპორტის, ლოგისტიკის, წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ეფექტური ტექნოლოგიების ცოდნა და გაცნობიერება;
- ლოგისტიკური სისტემების, პროცესებისა და ოპერირების დაგეგმარებისა და მართვის მეთოდების ცოდნა;
- ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციასთან, ლოგისტიკური სისტემის დაგეგმარებასა და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის კონფიგურაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** – ტრანსპორტის, ლოგისტიკის, წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ეფექტური გზების ძიება, მათ შორის, კვლევებისა და პროცესების ანალიზის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ლოგისტიკური სისტემების, პროცესებისა და ოპერირების დაგეგმარებისა და მართვის უნარი;
- მონაცემების ინტერპრეტაციის, მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბების უნარი. ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციასთან, ლოგისტიკური სისტემის დაგეგმარებასა და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის კონფიგურაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარი;
- დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის უნარი, ლოგისტიკური სისტემის, მარაგებისა და ლოგისტიკური ქსელების დაგეგმარების უნარი ;
- სამუშაო მიზნების მისაღწევად ლოგისტიკაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზირებული სისტემების რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი. ლოგისტიკური მოდულების ეფექტური ინტეგრაციის უნარი საწარმოს რესურსების დაგეგმარების სისტემაში;
- **დასკვნის უნარი:** – ლოგისტიკური სისტემებისა და ქსელების, ლოგისტიკური ოპერაციების წარმოებისა და მართვის, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისა და ლოგისტიკის კონტროლინგის სისტემების ეფექტურობის შეფასება;
- გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, ინიციატივისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოვლენის უნარი.
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების, ლოგისტიკური პროცესების დეტალური ანალიზის, მიწოდების ჯაჭვის კომპონენტების ანალიზის, ახალი ინფორმაციის მიღების და დამუშავების შედეგებზე დაყრდნობით ინოვაციური სინთეზის უნარი;
- **კომუნიკაციის უნარი** – თავისი დასკვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევის მეთოდების და მიღებული შედეგების სრულყოფილად და გასაგებად წარმოჩინების უნარი

აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
-სწავლის უნარი – სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე. პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა;
-ღირებულებები – ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

